



ΓΕΩΡΓΙΑΝΟ ΙΝΣΤΙΤΟΥΤΟ ΑΘΗΝΩΝ
GEORGIAN INSTITUTE AT ATHENS

მ ე მ თ რ ა ნ დ უ მ ი

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ათენის ქართულ ინსტიტუტს შორის ურთიერთთანამშრომლობის შესახებ

ქ. თბილისი

29 ოქტომბერი 2018 წელი

ერთი მხრივ სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ქ. ახალციხე,
რუსთაველის ქ. №113. ს/კ 424066977) წარმოდგენილი, რექტორის, ასოცირებული
პროფესორის, მაკა ბერიძის სახით და მეორე მხრივ „ათენის ქართული სამეცნიერო-
კვლევითი ინსტიტუტი“ (შემდგომში „ათენის ქართული ინსტიტუტი“) წარმოდგენილი
დირექტორის, პროფესორ ავთანდილ მიქაბერიძის სახით, ისწრავვიან რა მხარები,
ურთიერთობის განვითარებისა და განმტკიცებისაკენ, შევდველობაში იღებენ
საგანმანათლებლო თანამშრომლობაში ორმხრივ დაინტერესებას, მხარეთა მქიდროდ
თანამშრომლობის მნიშვნელობასა და აუცილებლობას, საქართველოში მოქმედი
კანონმდებლობისა და მხარეთა უფლებამოსილების ფარგლებში დებენ წინამდებარე
„ურთიერთთანამშრომლობის შესახებ“ მემორანდუმს შემდეგზე:

მუხლი 1

მემორანდუმის მიზანს წარმოადგენს:

- ა) ქართული და მსოფლიო კულტურის ღირებულებების ჩამოყალიბებისათვის ხელშეწყობა,
დემოკრატიისა და ჰუმანიზმის იდეალებზე ორიენტაცია, რომლებიც აუცილებელია
სამოქალაქო საზოგადოების არსებობისა და განვითარებისათვის;
- ბ) პიროვნების ინტერესებისა და შესაძლებლობების შესატყვისი უმაღლესი განათლების
მიღების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების მოთხოვნილებათა
და კმაყოფილება;
- გ) პიროვნული პოტენციალის რეალიზება, შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარება,
თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციის მქონე პირების მომზადება, შიდა და
საგარეო შრომის ბაზარზე უმაღლესი განათლების მქონე პირთა კონკურენტუნარიანობის
უზრუნველყოფა, სტუდენტთა და ფართო საზოგადოების მოთხოვნათა შესაბამისი მაღალი
ხარისხის უმაღლესი განათლების შეთავაზება დაინტერესებული პირებისათვის;

დ) სახელმწიფოს განვითარებისა და საკუთრივ უმაღლესი განათლების სისტემის სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველსაყოფად ახალი სამეცნიერო პერსონალის მომზადება და გადამზადება, სამეცნიერო კვლევების პირობების შექმნა, უზრუნველყოფა და განვითარება.

მუხლი 2.

მემორანდუმის მიზნის განსახორციელებლად მხარეები თანხმდებიან, რომ უზრუნველყონ: სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სადოქტორო პროგრამის ფარგლებში

- ა) სამეცნიერო კვლევების დაგეგმვა და განხორციელება;
- ბ) სამეცნიერო კონფერენციების ჩატარება;
- გ) სამეცნიერო ურნალის გამოცემა;
- დ) საჯარო ლექციების წაკითხვა;
- ე) მხარეთა მატერიალურ-ტექნიკური ბაზით სარგებლობა, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით;
- ვ) ზემოხსენებული მიზნის მისაღწევად სხვა ღონისძებების განხორციელება, მხარეების მხრიდან ფინანსური ვალდებულებების აღების გარეშე.

მუხლი 3.

მემორანდუმის ფარგლებში ურთიერთთანამშრომლობის კონკრეტული მიმართულებები და პირობები შეიძლება განისაზღვროს მემორანდუმის საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულებით.

მუხლი 4

წინამდებარე მემორანდუმის შესრულებასა და განმარტებასთან დაკავშირებული სადაცო საკითხები გადაიჭრება მოლაპარაკებების გზით, წინააღმდეგ შემთხვევაში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 5

მემორანდუმში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხარეთა შეთანხმებით, რომელიც შესრულებული უნდა იქნეს წერილობითი ფორმით.

მუხლი 6

მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.

მუხლი 7

ნინამდებარე მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ სხვა გადაწყვეტილებების მიღებამდე. მემორანდუმის შენიშვნების შესახებ შეთანხმება შესრულებული უნდა იქნეს წერილობითი ფორმით. მემორანდუმის ცალმხრივად შენიშვნების ინიციატორი მხარე ვალდებულია ამის შესახებ გონივრულ ვადაში წერილობით აცნობოს მეორე მხარეს.

მხარეთა რეკვიზიტები:

სსიპ სამქეთ-ჭავახეთის სახელმწიფო
უნივერსიტეტის რექტორი,
ასოცირებული პროფესორი:
გაკა ბერიძე

J. ჭავახეთი



ათენის ქართული ინსტიტუტი
ვ. კონსტანტინუს პრ. ქ. # 40, ქ. ათენი-116 35
დირექტორი, პროფესორი:
ავთანდილ მიქაბერიძე

ავთანდილ მიქაბერიძე

